საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 312

ქ. თბილისი "25" "03" 2008წ.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის 326-ე კმ-ზე მდ. ჯუმზე ხიდის სამშენებლო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის, მე-4 პუნქტის, „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „კ" ქვეპუნქტისა და მე-3 და მე-4 პუნქტების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა პროექტზე №14; 14.03.08 „თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის 326-ე კმ-ზე მდ. ჯუმზე ხიდის მშენებლობა";
2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ეკოლოგიური ექსპერტიზის მოქმედების ვადა – უვადო;
3. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა უზრუნველყოს პირველი პუნქტით განსაზღვრული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული პირობების შესრულება;
4. ეს ბრძანება დაუყონებლივ გაეგზავნოს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტს;
5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს მთავრობაში (ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ. №7) ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, სარაჯიშვილის ქ. №1) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №14; 14.03.08წ. და ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის დინარა ჩუბინიძის მოხსენებითი ბარათი

ზაალ გამცემლიძე
მინისტრი

ეგზავნება: ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტს, გარემოს დაცვის ინსპექციას, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტს